საფეხბურთო ერთობა "მესხეთი"

ასაკი: 10 - 12 წელი

ტექნიკის და გადაწყვეტილების მიღების განვითარების ფანჯარა

ძვირფასო მშობლებო,

10-12 წელი ფეხბურთელის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

- ✓ ამ ასაკში ტვინი და სხეული განსაკუთრებით მზად არის ახალი მოძრაობების, ტექნიკური მოქმედებებისა და თამაშის გაგების შესასწავლად.
- ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანი ამ ეტაპზე არ არის ჩემპიონობა.

- ✓ **ჩვენი მთავარი მიზანია:**

- ტექნიკის განვითარება,
- თამაშის გაგების განვითარება,
- გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება,
- დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ფეხბურთელის ჩამოყალიბება.

1. ბურთი და განვითარება შედეგზე მნიშვნელოვანია

- ✓ შედეგი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი,
- • გოლი, მოგება, ტურნირი - ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია.

- ✓ მაგრამ ჩვენ არ ვზომავთ ბავშვს მხოლოდ ქულებით და გოლებით, ჩვენ ვზომავთ გადაწყვეტილებით, შრომით და ხასიათით.

- • რამდენჯერ სცადა ფეხბურთელმა წინსვლა, გამწვავება და ცრუმოძრაობა,
- • რამდენჯერ და როგორ მიიღო გადაწყვეტილება წნეხის ქვეშ,
- • რამდენჯერ გაბედა რთული მოქმედების შესრულება,
- • რამდენჯერ სცადა სირთულის დამოუკიდებლად გადაწყვეტა.
- • რამდენად ძლიერია მისი სურვილი ახალი უნარების სწავლისა და განვითარების,

- ✓ ამ ასაკში შეცდომა არის განვითარების აუცილებელი ნაწილი,
- ✓ თუ ბავშვი შეცდომის შემდეგ კვლავ და სწრაფად ერთვება შემდგომ - ახალ საფეხბურთო ვითარებაში - ჩვენ სწორ გზაზე ვართ.

2. ყველა თამაშობს — მაგრამ პასუხისმგებლობაც არსებობს

- ✓ ყველა ფეხბურთელი იღებს სათამაშო დროს სამართლიანობისა და განვითარების საჭიროების მიხედვით.
- ✓ ამ ასაკში სათამაშო დრო მხოლოდ ასაკით აღარ განისაზღვრება.

- ✓ მასზე გავლენას ახდენს:
- • დასწრება,
- • შრომისმოყვარეობა,
- • დამოკიდებულება,
- • გუნდის მიმართ პასუხისმგებლობა.

- ✓ ვარჯიშზე რეგულარული დასწრება ფეხბურთელის განვითარების აუცილებელი ნაწილია.
- ✓ ჩვენ ვასწავლით, რომ შრომასა და შესაძლებლობას შორის კავშირი არსებობს.

3. მწვრთნელი ასწავლის — მშობელი ამხნევებს

- ✓ დაუშვებელია მაყურებელთა სივრციდან თამაშის მართვა და მითითებების მიცემა როგორიცაა:
- „შენ თვითონ!“
- „მოატყუე!“
- „დაარტყი!“

  რადგან ეს ყოველივე ხელს უშლის ფეხბურთელის დამოუკიდებელი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას.

- ✓ რომელიც საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ მწვრთნელის პასუხისმგებლობაა.

- ✓ მშობლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია:
- „ყოჩაღ!“
- „სცადე კიდევ!“
- „მე შენით ვამაყობ!“

- ✓ ბავშვი მაყურებლისაკენ უნდა იყურებოდეს მხარდაჭერისთვის და არა მითითებების მისაღებად.

4. 10-12 წლის ასაკში ფეხბურთელი ჯერ კიდევ სწავლობს საკუთარ თავს

- ✓ შესაბამისად ფეხბურთელის საბოლოო სათამაშო ადგილი ჯერ არ არის განსაზღვრული.
- ✓ ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას ბავშვებს სხვადასხვა ადგილზე გამოცადონ თავი და მიიღონ გამოცდილება.
- ✓ ეს ეხმარება მათ:
  - უკეთ გაიგონ თამაში,
  - აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი მხარეები,
  - გახდნენ მრავალმხრივი ფეხბურთელები.

- ✓ მოედანზე სათამაშო ადგილის უფრო კონკრეტული ჩამოყალიბება ძირითადად 13 წლის შემდეგ იწყება.

- ➢ **მშობლის პასუხისმგებლობა:**

- უზრუნველყოს ბავშვის დროული დასწრება ვარჯიშებსა და გუნდურ ღონისძიებებზე,
- იზრუნოს, რომ ფეხბურთელი იყოს აღჭურვილი გუნდში არსებული შიდა განაწესის შესაბამისად,
- შექმნას დადებითი, მხარდამჭერი და გამამხნევებელი გარემო როგორც მაყურებელთა სივრცეში ასევე მოედანზე,
- პატივი სცეს სამწვრთნელო მიმდინარეობას და ხელი შეუწყოს ბავშვის დამოუკიდებელ განვითარებას.

- ✓ **ჩვენი პასუხისმგებლობა:**

- ვიზრუნოთ ფეხბურთელის სპორტულ, პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე,
- შევუქმნათ უსაფრთხო, სასწავლო და სამოტივაციო გარემო,
- დავეხმაროთ თითოეულ ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენასა და განვითარებაში.

- ✓ **ჩვენი საერთო მიზანი:**

- ფეხბურთის საშუალებით აღვზარდოთ ბედნიერი, თავდაჯერებული, პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა.
- ჩვენ მიზანია ბავშვი ყოველი ვარჯიშისა და თამაშის შემდეგ ბრუნდებოდეს სახლში მეტი ცოდნით, უფრო თავდაჯერებული და ბედნიერი, ვიდრე მოვიდა.

- ➢ ბურთი და განვითარება შედეგზე მნიშვნელოვანია.

- ✓ ჩვენ ერთი გუნდი ვართ — თქვენ, ჩვენ და თქვენი შვილი.

  მადლობა ნდობისთვის.

- ✓ გავეცანი და ვიზიარებ “მესხეთის” 10-12 წლის ასაკობრივ ჯგუფის ხედვასა და მიდგომას.

მშობლის სახელი და გვარი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____